

1. ხელშეკრულების საბანი

- 1.1 ბანკი კლიენტს გაუხსნის ანგარიშ(ებ)ს, აწარმოებს მის საბანკო ოპერაციებს და გაუწევს ამ ხელშეკრულებაში აღწერილ მომსახურებას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და წესებით.
- 1.2 ამ ხელშეკრულებაში აღწერილ მომსახურებათა მისაღებად კლიენტი ბანკს მიმართავს შესაბამისი წერილობითი განაცხადით (ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით), რომლითაც ის იმავდროულად ადასტურებს, რომ დეტალურად იცნობს ამ ხელშეკრულების ყველა პირობას და ეთანხმება მათ, რითაც უერთება ამ ხელშეკრულებას. ბანკი განიხილავს კლიენტის განაცხადს და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში დაიწყებს კლიენტისთვის განაცხადში მითითებული მომსახურების გაწევას განაცხადის მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა.
- 1.3 ანგარიშ(ებ)ი იხსნება კლიენტის განაცხადისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული აუცილებელი დოკუმენტების საფუძველზე (ბანკისთვის წარდგენის შემდეგ), რომელთა უტყუარობაზეც პასუხისმგებელია კლიენტი. ამასთან, ბანკს შეუძლია კლიენტის მიერ ანგარიშის გასახსნელად წარდგენილი დოკუმენტების სამართლებრივი ექსპერტიზის წარმოება და კლიენტისთვის შესაბამისი კონსულტაციის გაწევა.

2. ანგარიშზე ფულადი სახსრების შეტანა და ჩარიცხვა

- 2.1 კლიენტის ანგარიშზე ფულადი სახსრები შეიძლება ჩარიცხოს როგორც ნაღდი, ისე უნაღდო წესით.
- 2.2 იმ შემთხვევაში, თუ სხვა ბანკის მეშვეობით კლიენტის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის საბუთში აღნიშნული საიდენტიფიკაციო მონაცემები სრულად არ დაემთხვევა ბანკის ხელთ არსებულ ინფორმაციას კლიენტის შესახებ, ბანკი მიღებულ თანხას ჩარიცხავს “გაურკვეველ ანგარიშზე”, აწარმოებს აუცილებელ გამოკვლევას თანხის მიმღების დასადგენად და მონაცემებს შორის შეუსაბამობის გამოუსწორებლობის შემთხვევაში თანხას დაუბრუნებს გადამხდელს.
- 2.3 ბანკის მიერ კლიენტის ანგარიშზე თანხის შეცდომით ჩარიცხვის შემთხვევაში, ანგარიშის ამონაწერის მიღებიდან 1 (ერთი) საბანკო დღის განმავლობაში კლიენტი ვალდებულია შეატყობინოს ბანკს შეცდომით ჩარიცხული თანხის შესახებ და აღნიშნული თანხა უკან დაუბრუნოს ბანკს, წინააღმდეგ შემთხვევაში კლიენტი პასუხს აგებს ამ ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის შესაბამისად.
- 2.4 ბანკი უზრუნველყოფს კლიენტის ანგარიშზე შესული თანხების ჩარიცხვას და კლიენტის ანგარიშიდან თანხების გადარიცხვას არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა.

3. ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამორეა

- 3.1 ბანკის მიერ ანგარიშებიდან ფულადი სახსრების ჩამორეა, როგორც წესი, ხორციელდება კლიენტის თანხმობის, ნებართვის, დავალების, ან მოთხოვნის საფუძველზე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.
- 3.2 კლიენტის ანგარიშებიდან ბანკის მიერ უაქცეპტო წესით თანხების ჩამორეა შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:
 - 3.2.1 საბანკო მომსახურებისთვის (საკომისიო სარგებელი) საფასურის გადასახდელად, ბანკის მოქმედი ტარიფების შესაბამისად;
 - 3.2.2 ბანკის მიერ შეცდომით ჩარიცხული თანხების უკან დასაბრუნებლად;
 - 3.2.3 ბანკის წინაშე არსებული ნებისმიერი სახის დავალიანების დასაფარავად ან ვალდებულების შესასრულებლად. იმ შემთხვევაში, თუ დავალიანება დაფიქსირებულია ეროვნული ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, ექვივალენტი დგინდება ბანკის მიერ თანხის ჩამორეის მომენტისათვის დადგენილი კურსით.
 - 3.2.4 მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 3.3 3.3 კლიენტის მიერ ბანკისთვის მიცემული დავალების გაუქმება შეიძლება ბანკთან შეთანხმებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დავალება ჯერ არ შესრულებულა და მისი გაუქმება არ უწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, ან იმ ვალდებულების არსს, რომლის შესასრულებლადაც გაიცა დავალება.
- 3.4 3.4 ბანკი უფლებამოსილია არ შეასრულოს კლიენტის დავალება და დავალების შესრულებლობის შესახებ მისთვის მისაღები ფორმით შეატყობინოს კლიენტს, იმ შემთხვევაში თუ:
 - 3.4.1 ვერ ხერხდება კლიენტის სრულფასოვანი იდენტიფიკაცია;
 - 3.4.2 დავალება შედგენილი ან წარდგენილია ბანკში დადგენილი წესის დარღვევით ან შეიცავს არაზუსტ ინფორმაციას (მითითებებს);

- 3.4.3 დავალებაში აღნიშნული თანხა აღემატება ანგარიშზე არსებულ ხელმისაწვდომ თანხას ან ბანკის მიერ დადგენილ ლიმიტებს;
- 3.4.4 ბანკს გაუჩნდა უჭვი ჯანონსაწინააღმდეგო ოპერაციის განხორციელების მცდელობის შესახებ.

4. საფასური საბანკო მომსახურებისთვის

- 4.1 კლიენტისა და ბანკის ფინანსური ურთიერთობა მთლიანად წესრიგდება ბანკის ტარიფებითა და ბანკსა და კლიენტს შორის დადებული ხელშეკრულებებით. ანგარიშის წარმოებისათვის, ამ ანგარიშიდან განხორციელებული ოპერაციებისათვის და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განწვევისთვის კლიენტი ბანკს უხდის ოპერაციის შესრულების ან მომსახურების განწვევის დროისათვის ბანკის მიერ დადგენილი და მოქმედი ტარიფების შესაბამისად განსაზღვრულ თანხას.
- 4.2 ბანკის მიერ დადგენილ ტარიფებში ცვლილებების შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია შეცვალოს კლიენტის მომსახურების საფასური, რის შესახებაც ბანკი, კლიენტების ინფორმირებას უზრუნველყოფს ტარიფების ცვლილებამდე 10 (ათი დღით) ადრე გავრცელებული საინფორმაციო მასალის მეშვეობით.
- 4.3 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე მომსახურების მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში კლიენტს არ დაუბრუნდება მის მიერ უკვე გადახდილი მომსახურების საფასური (საკომისიო).
- 4.4 ბანკს უფლება აქვს შესთავაზოს კლიენტს სატარიფო პაკეტის გამოყენება, რაც გულისხმობს ერთდროულად რამდენიმე საბანკო მომსახურებით და შეღავათიანი ტარიფებით სარგებლობის უფლების მოპოვებას ფიქსირებული საკომისიოს გადახდის სანაცვლოდ. სატარიფო გეგმაზე რეგისტრაცია ხდება კლიენტის მიერ სპეციალური განაცხადის შევსებით. შევსებული განაცხადი სატარიფო პაკეტის შექმნის შესახებ ჩაითვლება კლიენტის თანხმობად სატარიფო პაკეტში ჩამოთვლილი მომსახურებებით სარგებლობაზე და აუცილებელი აღარ იქნება თითოეული მომსახურების მისაღებად ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტში აღნიშნული განაცხადის ბანკისთვის წარდგენა.

5. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

- 5.1 კლიენტი ვალდებულია:**
 - 5.1.1 დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს მის მიერ ბანკისთვის წარდგენილ დოკუმენტებსა და მიწოდებულ ინფორმაციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, ასევე წერილობით შეატყობინოს ბანკს იმ პირების შეცვლის შესახებ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან განაჯარგონ ანგარიში, ან მიიღონ ინფორმაცია ანგარიშის მდგომარეობის შესახებ და შეატყობინებს დაურთოს შესაბამისი დოკუმენტები. ცვლილებების შესახებ შეატყობინებისა და შესაბამისი საბუთების მიღებამდე ბანკის მიერ ოპერაციები სრულდება ადრე წარდგენილი საბუთებისა და ხელმოწერის ნიმუშის საფუძველზე.
 - 5.1.2 დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს ბანკს მისამართის, ტელეფონის ნომრების, ელექტრონული ფოსტის მისამართის და სხვა საკონტაქტო მონაცემების შეცვლის შესახებ;
 - 5.1.3 ყოველი ახალი ანგარიშის გახსნის მოთხოვნასთან ერთად ბანკს წარუდგინოს დოკუმენტები მისი საგადასახადო/სამეწარმეო სტატუსის შესაბამისად.
 - 5.1.4 ბანკის მიერ მისთვის გახსნილი ანგარიშები სამეწარმეო მიზნებისთვის გამოიყენოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ექნება შესაბამისი საგადასახადო/სამეწარმეო სტატუსი. წინააღმდეგ შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია არ გამოიყენოს თავისი ანგარიშები სამეწარმეო საქმიანობისთვის.
 - 5.1.5 მოთხოვნისთანავე მიაწოდოს ბანკს საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა საბუთი და ინფორმაცია.
 - 5.1.6 დაიცვას ამ ხელშეკრულების პირობები;
 - 5.1.7 დაიცვას ბანკის მიერ გავრცელებულ საინფორმაციო მასალაში აღწერილი პროცედურები.
- 5.2 ბანკი ვალდებულია:**
 - 5.2.1 მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია ანგარიშის მდგომარეობის შესახებ.
- 5.3 ბანკს უფლება აქვს:**
 - 5.3.1 ნებისმიერ დროს გააუქმოს ამ ხელშეკრულებაში აღწერილი მომსახურების სახეები, შეცვალოს მათი პირობები, მახასიათებლები და ფასი, რაზეც კლიენტი წინასწარ აცხადებს თანხმობას.
 - 5.3.2 კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, ნებისმიერ დროს ცალმხრივად, შეატყობინებს გარეშე შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება და დახუროს კლიენტის ანგარიშები.
 - 5.4 კლიენტს უკრძალება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე მომსახურების გამოყენება უკანონო მიზნებით, მათ შორის იმ საქონლის ან მომსახურების შესაძენად, რომლის შექმნაც აკრძალულია საქართველოს მოქმედი ჯანონმდებლობით.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 6.1 ბანკი პასუხისმგებელია კლიენტის წინაშე საბანკო ოპერაციების ზუსტად და დროულად განხორციელებისთვის. ბანკის მიზებით ანგარიშიდან თანხის არასწორად ჩამოწერის, ან ანგარიშზე

თანხების ჩარიცხვის ვადების დარღვევისათვის ბანკი იხდის პირგასამტეხლოს შესაბამისი თანხის 0,05%-ის ოდენობით, ან ჯანონმდებლობის შესაბამისად, ყოველი ვადაგადაცილებული საბანკო დღისათვის.

- 6.2 ამ ხელშეკრულების 2.3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია გადაუხადოს ბანკს პირგასამტეხლო 0,05%-ის ოდენობით, ან ჯანონმდებლობის შესაბამისად, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
- 6.3 პირგასამტეხლოს გადახდა დამრღვევს არ ათავისუფლებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 6.4 ბანკი არ აგებს პასუხს ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამომწვეულია კლიენტის საგადახდო დავალებაში, ან სხვა რომელიმე საბუთში აღნიშნული მიმღები ან შუამავალი ბანკის შეცდომით, ან ბანკისაგან დამოუკიდებელი ნებისმიერი სხვა მიზეზით.
- 6.5 ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის დავალებით განხორციელებული ოპერაციის შედეგებზე.
- 6.6 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულებით ნაყისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, თუ ეს გარემოებები გამომწვეულია დაუძლეველი (გადაუღებავი) ძალის ზემოქმედებით, კერძოდ: წყალდიდობით, მიწისძვრით, ხანძრით, გაფიცვით, სამხედრო მოქმედებით, ბლოკადით, სახელმწიფო ორგანოების აქტით ან ქმედებით და სხვა (ფორს-მაჟორული გარემოებები). ფორს-მაჟორული გარემოების დადგომისას მხარეები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ შეატყობინონ ამის შესახებ მეორე მხარეს. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაყისრი ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე.

7. ინფორმაცია კლიენტის შესახებ და საბანკო საიდუმლოება

- 7.1 კლიენტი აცხადებს, რომ მის მიერ ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტში აღნიშნული განაცხადის ბანკის მიერ მიღების მომენტში ბანკისთვის მიწოდებული ინფორმაცია (მათ შორის სამეწარმეო საქმიანობისა და მისი, როგორც გადასახადის გადამხდელის სტატუსის შესახებ) არის უტყუარი, ზუსტი, სრული და ამომწურავი. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს მისი სტატუსის, ან საქმიანობის სახის ნებისმიერი ცვლილების შესახებ.
- 7.2 ბანკი ვალდებულია დაიცვას კლიენტთან დაკავშირებული საბანკო ოპერაციების და ანგარიშების შესახებ ინფორმაციის საიდუმლოება, რომელიც ცნობილი გახდა მისთვის კლიენტთან საქმიანი ურთიერთობისას, გარდა ჯანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ან თუ საქმე ეხება ჩვეულებრივ საბანკო ინფორმაციას საერთაშორისო საბანკო პრაქტიკის შესაბამისად, რომლის გამჟღავნებთაც არ ილახება კლიენტის ინტერესები. ეს მოვალეობა ძალაშია ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც.
- 7.3 ბანკი პასუხს არ აგებს კლიენტის მიერ ბანკისთვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის შესაბამისად გაგზავნილი შეტყობინების სხვა პირის მიერ მიღებით გამომწვეულ შედეგებზე.
- 7.4 ბანკის მიერ გაცემული მომსახურების გაუმჯობესების ან ხელშეკრულებით ნაყისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით კლიენტი თანახმაა, რომ ბანკმა კლიენტის საბანკო ანგარიშებისა და ოპერაციების შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაცია ამ ინფორმაციის უზრუნველყოფის დაცვის პირობით გადასცეს ბანკთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ პირებს.
- 7.5 კლიენტი ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას, კლიენტის შესახებ ბანკის ხელთ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია, მასთან დამატებითი შეთანხმების გარეშე, ნებისმიერ დროს გადასცეს საქართველოში მოქმედ საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს, ამ ბიუროს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, რის საფუძველზეც კლიენტი აღირიცხება ბიუროს მონაცემთა ბაზაში.
- 7.6 ამ ხელშეკრულების 7.5 პუნქტით გათვალისწინებული გადასაცემი ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: კლიენტის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ბანკის მიმართ დავალიანების მოცულობას, კრედიტის მიზნობრიობას, დარიცხულ პროცენტს, მოქმედების ვადას, კლიენტის მიერ კრედიტთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, უზრუნველყოფის საგნის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, აგრეთვე იგივე ინფორმაციას თავდებებისა და ამ ხელშეკრულების ფარგლებში ნაყისრი ვალდებულებების უზრუნველყოფების შესახებ, ხოლო სასამართლო დავის არსებობის შემთხვევაში, სასამართლო წარმოებისა და სააღსრულებო პროცედურების შესახებ ინფორმაციას, სხვა ინფორმაციას კლიენტის შესახებ, რასაც მოითხოვს საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს მიერ დადგენილი პროცედურები.
- 7.7 კლიენტი ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე გაეცნოს კლიენტის საკრედიტო ისტორიას საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს მონაცემთა ბაზაში.
- 7.8 კლიენტი ბანკს ანიჭებს უპირობო, მრავალჯერად უფლებას, შეუზღუდავად მიიღოს კლიენტის პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაცია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან

8. ხელშეკრულების მოქმედება და სხვა პირობები

- 8.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტში აღნიშნული განაცხადის მიღების ბანკის მიერ დადასტურების მომენტიდან და მოქმედებს ექვსი თვის განმავლობაში. ხელშეკრულების მოქმედება ავტომატურად გაგრძელდება 6 (ექვსი) თვის ვადით, თუ მისი მოქმედების ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე მხარეები არ გამოთქვამენ მისი შეწყვეტის სურვილს. ყოველი მორიგი 6 (ექვსი) თვის გასვლის

შემდეგ ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდება ამ პუნქტით დადგენილი წესით. ხელშეკრულების მოქმედება ნებისმიერ დროს შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

- 8.2 კლიენტს შეუძლია ნებისმიერ დროს დახუროს ანგარიში ან შეწყვიტოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ან ყველა სახის მომსახურებით სარგებლობა ანგარიშის დახურვამდე ან მომსახურებით სარგებლობის შეწყვეტამდე 10 (ათი) დღით ადრე ბანკისთვის წერილობითი შეტყობინების გადაცემის მეშვეობით.
- 8.3 ბანკს შეუძლია ნებისმიერ დროს დახუროს კლიენტის ანგარიშ(ებ)ი, შეწყვიტოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ან ყველა სახის მომსახურების განწევა ანგარიშის დახურვამდე ან მომსახურების განწევის შეწყვეტამდე 10 (ათი) დღით ადრე კლიენტისთვის შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით.
- 8.4 ხელშეკრულების მოქმედება წყდება ჯანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 8.5 ბანკს უფლება აქვს ცვლილებები (დამატებები) შეიტანოს ამ ხელშეკრულების ტექსტში ცვლილების (დამატებების) განხორციელებამდე 10 (ათი) დღით ადრე ბანკის ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge შესაბამისი ინფორმაციის განთავსების მეშვეობით.
- 8.6 ამ ხელშეკრულების 8.5 პუნქტში აღწერილ შემთხვევაში კლიენტს უფლება ექნება ბანკის ინტერნეტ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებიდან 10 (ათი) დღის გასვლამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება ამ ხელშეკრულების 8.2 პუნქტით გათვალისწინებული წესით.
- 8.7 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი არ ისარგებლებს ამ ხელშეკრულების 8.6 პუნქტში აღწერილი უფლებით, ბანკის მიერ შეთავაზებული ცვლილებები (დამატებები) ჩაითვლება კლიენტის მიერ მიღებულად, ხელშეკრულება კი შეცვლილად, შეთავაზებული პირობების შესაბამისად.
- 8.8 ნებისმიერი შეტყობინება ხორციელდება წერილობით, ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით. წერილობითი შეტყობინება მხარეს უნდა გადაეცეს შეტყობინების გამგზავნისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე. ბანკს შეუძლია შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც (მათ შორის ელექტრონული, ციფრული, სატელეფონო და სხვა).
- 8.9 მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულია ბანკის, მისი ფილიალებისა და სერვისცენტრების მისამართები.
- 8.10 იმ საკითხების მოწესრიგებისას, რომლებიც ამ ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი ჯანონმდებლობით.
- 8.11 მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულების 12.3.4, 12.3.6 ქვეპუნქტებით და მე-14 მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობებიდან გამომდინარე დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.
- 8.12 მხარეები თანხმდებიან, რომ ბანკის ინტერნეტ-გვერდზე განთავსებულ და ბანკის მონაცემთა ბაზებში (კომპიუტერულ პროგრამებში) დაცულ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის ბანკის მიერ დამზადებულ ელექტრონულ ასლებსა და ამონაბეჭდებს, რომლებიც დამონმებულია ბანკის დირექტორის ხელმოწერით, აქვთ მტკიცებულებითი ძალა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ფაქტების არსებობის დადასტურების მიზნებისთვის.
- 8.13 ამ ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესი ძალა მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით ადრე გაფორმებულ სხვა ხელშეკრულებებთან წინააღმდეგობის შემთხვევაში.
- 8.14 ამ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილობა და/ან მოქმედების შეწყვეტა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას, ან მოქმედების შეწყვეტას.
- 8.15 კლიენტის მომსახურების პირობები უფრო დეტალურად არის აღწერილი ბანკის მიერ გავრცელებულ საინფორმაციო მასალაში (მათ შორის ბუქლეტები, ბროშურები, ბანკის ინტერნეტ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია და სხვა). საინფორმაციო მასალაში მოცემულ ინფორმაციასა და ამ ხელშეკრულების შინაარსს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში გამოიყენება ამ ხელშეკრულების დებულებები.
- 8.16 ამ ხელშეკრულების ტექსტი განთავსებულია ბანკის ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge.

9. ინტერნეტ-ბანკი

9.1 მომსახურების აღწერა

- 9.1.1 ინტერნეტ-ბანკით მომსახურება გულისხმობს ბანკში გამოუცხადებლად კლიენტის მიერ ბანკის ინტერნეტ-გვერდის <https://www.internetbanking.ge> გამოყენებით ბანკის მიერ განსაზღვრული:
 - 9.1.1.1 საბანკო ინფორმაციის მიღებას;
 - 9.1.1.2 სხვადასხვა საბანკო მომსახურებით (სერვისით) სარგებლობისთვის რეგისტრაციას;
 - 9.1.1.3 ლიმიტების ფარგლებში სხვადასხვა საბანკო ოპერაციის განხორციელებას.
- 9.1.2 ინტერნეტ-ბანკის საშუალებით კლიენტს შეუძლია განახორციელოს სხვადასხვა საბანკო ოპერაცია ამ ხელშეკრულებაში მოცემული და ოპერაციის განხორციელების დროისთვის ბანკში მოქმედი წესების, მოთხოვნებისა და პირობების შესაბამისად.
- 9.1.3 ინტერნეტ-ბანკით მომსახურების მისაღებად კლიენტმა ბანკს უნდა მიმართოს განაცხადით ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტის შესაბამისად. ინტერნეტ-ბანკით მომსახურებაზე რეგისტრაცია

შესაძლებელია ასევე ინტერნეტის მეშვეობით ამ ხელშეკრულების 11.2.1 ქვეპუნქტში აღნიშნული ყოლის გამოყენებით.

- 9.1.4 ბანკი არ არის პასუხისმგებელი შედეგებზე, რომლებიც გამოწვეულია:
- 9.1.4.1 კლიენტის ან სხვა პირის ყუთვნილი კომპიუტერის (მისი ნაწილებისა და აქსესუარების) ან პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართავობით;
- 9.1.4.2 კლიენტის მიერ განაცხადის არასწორი, ან არასრულყოფილი შევსებით;
- 9.1.4.3 კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულების 9.1.6 ქვეპუნქტით ნაყისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით;
- 9.1.4.4 კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულების 9.1.7 ქვეპუნქტში ჩამოთვლილი უფლებამოსილებების გამოყენებლობით.
- 9.1.4.5 ბანკის მიერ გავრცელებულ საინფორმაციო მასალაში მოცემული რეკომენდაციების კლიენტის მიერ შეუსრულებლობით.
- 9.1.5 ბანკს უფლება აქვს:
- 9.1.5.1 კლიენტის აქტიურ ოპერაციებზე (გადარიცხვები, კონვერტაციები) ცალმხრივად დააწესოს შეზღუდვები და დაადგინოს ასეთი ოპერაციების ზღვრულად დასაშვები პარამეტრები (ერთჯერადი გადარიცხვის მაქსიმალური თანხა, გარკვეულ პერიოდში ჯამურად გადარიცხული თანხის მაქსიმალური ოდენობა, გადარიცხვების მაქსიმალური რაოდენობა და სხვა).
- 9.1.6 კლიენტი ვალდებულია:
- 9.1.6.1 ინტერნეტ-ბანკთან კავშირის დასამყარებლად გამოიყენოს მხოლოდ „ინტერნეტ-ბრაუზერის“ ისეთი თანამედროვე ვერსია, რომელიც მონაცემთა მინიმუმ 128 ბიტის დამიფვრას უზრუნველყოფს.
- 9.1.6.2 უსაფრთხოდ შეინახოს ინტერნეტ-ბანკით სარგებლობისთვის საჭირო ნებისმიერი ინფორმაცია და მოწყობილობა: მის მიერ არჩეული მომხმარებლის სახელი (User Name), პაროლი (Password), ბანკის მიერ მისთვის გადაცემული მოწყობილობები (“Digi Pass Token“ და სხვა), ასევე ამ მოწყობილობებთან დაკავშირებული ყველა სახის კოდი.
- 9.1.6.3 ინტერნეტ-ბანკში პირველად შესვლისთანავე შეცვალოს პაროლი (Password) და დაიცვას მისი კონფიდენციალობა.
- 9.1.6.4 ხშირად ცვალოს პაროლი, არ გაანდოს პაროლი, კოდი და/ან ბანკის მიერ მისთვის გადაცემული მოწყობილობის (“Digi Pass Token“ და სხვა) საიდენტიფიკაციო კოდი მესამე პირს, არ შეინახოს ეს მონაცემები კომპიუტერის მეხსიერებაში, არ დაუშვას ბანკის მიერ მისთვის გადაცემული მოწყობილობების მესამე პირისთვის გადაცემა.
- 9.1.6.5 ინტერნეტ-ბანკის უშუალო გამოყენებამდე დარწმუნდეს, რომ რომ მისამართის ველში ნამდვილად წერია ბანკის ინტერნეტ-ბანკის ვებ-მისამართი <https://www.internetbanking.ge> და ამ მისამართის ორიგინალობა გადაამოწმოს უსაფრთხოების სერტიფიკატით.
- 9.1.6.6 პაროლის, რომელიმე კოდის ან მოწყობილობის დაჯარგვის, ან გამყლავების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს ამის შესახებ.
- 9.1.6.7 არ ენდოს ელ-ფოსტის მისამართზე მიღებულ შეტყობინებებს, რომლებიც ბანკის სახელით ითხოვენ პირადი საბანკო მონაცემების მიწოდება/განახლებას.

9.1.7 კლიენტი უფლებამოსილია:

9.1.7.1 ამოღებულია

9.2 კლიენტის იდენტიფიკაცია

- 9.2.1 კლიენტს დალუქული კონვერტით გადაეცემა ინტერნეტ-ბანკით სარგებლობისთვის საჭირო მონაცემები (შემდგომში „საიდენტიფიკაციო მონაცემები“), რომელთა გამოყენებითაც ხდება კლიენტის იდენტიფიკაცია ბანკის ინტერნეტ-გვერდზე შესვლის დროს. ზემოხსენებული მონაცემების ინტერნეტ-გვერდის სპეციალურ - „შემსვლელ“ გრაფიკულ ელემენტზე არ გაიყვამ ინფორმაცია ანგარიშის შესახებ, არ შესრულდება საბანკო ოპერაციები და რეგისტრაცია მომსახურებებზე (სერვისებზე).
- 9.2.2 ბანკი უფლებამოსილია შექმნას დამატებითი მექანიზმები კლიენტის იდენტიფიკაციისთვის, მათ შორის გარკვეული სახის მომსახურების გასაწევად მოითხოვოს ბანკის მიერ კლიენტისთვის გადაცემული მოწყობილობების მეშვეობით შექმნილი (გენერირებული) კოდების გამოყენება.
- 9.2.3 ბანკი და კლიენტი ვალდებული არიან დაიცვან საიდენტიფიკაციო მონაცემების კონფიდენციალობა.
- 9.2.4 საიდენტიფიკაციო მონაცემების დაჯარგვის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ბანკს განცხადებით (ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ფორმით) ახალი საიდენტიფიკაციო მონაცემების მინიჭების შესახებ.
- 9.2.5 ბანკი ვალდებულია კლიენტის მიერ საიდენტიფიკაციო მონაცემების დაჯარგვის თაობაზე შეტყობინების საფუძველზე უზრუნველყოს კლიენტის ანგარიშებზე ინტერნეტ-ბანკით მომსახურების შეჩერება, კლიენტის მხრიდან ახალი განჯარგულებების მიღებამდე.
- 9.2.6 კლიენტის მიერ ბანკში ახალი ანგარიშის გახსნისას, ინტერნეტ-ბანკით მომსახურება განხორციელდება ავტომატურად, არსებული საიდენტიფიკაციო მონაცემების გამოყენებით.
- 9.2.7 კლიენტი წინასწარ აცხადებს, რომ მხოლოდ შესაბამისი სერვისების (მომსახურებების) პირობების დეტალურად შესწავლის შემდეგ დარეგისტრირდება ამ სერვისების მომხმარებლად და რომ ამ ხელშეკრულების 9.2.1 ქვეპუნქტში აღნიშნული საიდენტიფიკაციო მონაცემების გამოყენებით რეგისტრაციის ნების გამოხატვა ჩაითვლება მის თანხმობად იმ მომსახურების ყველა პირობაზე, რომლის მომხმარებლადაც დარეგისტრირდება კლიენტი ბანკის ინტერნეტ-გვერდის მეშვეობით.

9.3 კლიენტის დავალებები და თანხმობები

- 9.3.1 მხარეები ცნობენ და ადასტურებენ, რომ ინტერნეტ-ბანკის საშუალებით შესრულებულ ოპერაციებს აქვთ ანგარიშის განჯარგვასზე უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული (წერილობითი ფორმით შესრულებული და ხელმოწერილი) ქალაქდზე დაბეჭდილი საბუთის გოლფასი იურიდიული ძალა.
- 9.3.2 კლიენტი ბანკს ავალებს და უფლებას აძლევს ბანკთან ინტერნეტით უკავშირისას;
- 9.3.2.1 კლიენტისთვის ხელმისაწვდომი გახადოს მიაწოდოს მას ინფორმაცია მისი ანგარიშების შესახებ;
- 9.3.2.2 კლიენტის დავალებით შეასრულოს ბანკის მიერ ინტერნეტ-ბანკით მომსახურების ფარგლებში დაშვებული ოპერაციები.
- 9.3.3 კლიენტის პრეტენზიები ინტერნეტ-ბანკით მომსახურებასთან დაკავშირებით მიიღება ოპერაციის განხორციელებიდან 45 (ორმოცდახუთი) დღის განმავლობაში.

10. ავტომატური გადარიცხვები

10.1 მომსახურების აღწერა.

- 10.1.1 ავტომატური გადარიცხვებით მომსახურება გულისხმობს კლიენტის ანგარიშებიდან კომუნალური მომსახურების საფასურის გადასახდელად ან სხვა დანიშნულებით ბანკის მიერ თანხების გადარიცხვას კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე, ავტომატური გადარიცხვების შესახებ კლიენტის განაცხადში მითითებული ფიქსირებული თანხის ან კლიენტის მომსახურე პირის მიერ კლიენტის დავალიანების შესახებ ბანკისთვის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.
- 10.1.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ავტომატური გადარიცხვების შესასრულებლად ბანკის მიერ შექმნილ ელექტრონულ საგადახდო საბუთებს აქვთ ქალაქდზე დაბეჭდილი და ანგარიშის განჯარგვის უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ხელმოწერილი დადასტურებული საბუთის გოლფასი იურიდიული ძალა.
- 10.1.3 ამ ხელშეკრულების საფუძველზე ბანკი საბანკო ოპერაციებს განახორციელებს ამ ხელშეკრულებაში, ავტომატური გადარიცხვების სერვისზე რეგისტრაციის განაცხადსა და ბანკის მიერ გავრცელებულ საინფორმაციო მასალაში მოცემული მოთხოვნების და პირობების გათვალისწინებით.
- 10.1.4 ავტომატური გადარიცხვების მომსახურების მისაღებად კლიენტმა ბანკს უნდა მიმართოს განაცხადით ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტის შესაბამისად.

10.1.5 ბანკი ვალდებულია:

- 10.1.5.1 უზრუნველყოს კლიენტი ავტომატური გადარიცხვებით ბანკის მიერ გავრცელებულ საინფორმაციო მასალაში მოცემული პირობების დაცვით.
- 10.1.5.2 უზრუნველყოს კლიენტის ინფორმირება (მოკლე ტექსტური შეტყობინებით) შესრულებული გადარიცხვის თაობაზე.
- 10.1.6 ბანკი არ არის პასუხისმგებელი შედეგებზე, რომლებიც გამომწვეულია:
 - 10.1.6.1 კლიენტის მიერ განაცხადის არასწორი ან არასრულყოფილი შევსებით;
 - 10.1.6.2 კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულების 10.1.8 ქვეპუნქტით ნაჩისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით;
 - 10.1.6.3 კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულების 10.1.9 ქვეპუნქტში ჩამოთვლილი უფლებამოსილებების გამოუყენებლობით;
 - 10.1.6.4 ბანკის მიერ გავრცელებულ საინფორმაციო მასალაში მოცემული რეკომენდაციების შეუსრულებლობით;
 - 10.1.6.5 ავტომატურად გადარიცხული თანხის მიმღების მიზეზით.

10.1.7 ბანკი უფლებამოსილია:

- 10.1.7.1 არ განახორციელოს ავტომატური გადარიცხვა (ანგარიშსწორება) კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე არასაკმარისი თანხის არსებობისას;
- 10.1.7.2 არ განახორციელოს ავტომატური გადარიცხვა (ანგარიშსწორება) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან ბანკის წინაშე დავალიანების არსებობისას;
- 10.1.7.3 განსაზღვროს გადარიცხვების პრიორიტეტები.

10.1.8 კლიენტი ვალდებულია:

- 10.1.8.1 ავტომატური გადარიცხვების სერვისზე რეგისტრაციის შესახებ განაცხადში მიუთითოს ერთი ან რამდენიმე ანგარიში (რომელთაგან ერთი აუცილებლად იქნება სალარე);
- 10.1.8.2 დამხმარე ანგარიშად აუცილებლად დაარეგისტრიროს უცხოურ ვალუტაში გახსნილი საკუთარი ანგარიში იმ შემთხვევაში, თუ ავტომატური გადარიცხვებით ხდება უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული თანხის (ექვივალენტის ეროვნულ ვალუტაში) გადახდა.
- 10.1.8.3 განაცხადში მითითებულ ანგარიშებზე ყოველთვის იქონიოს ავტომატური გადარიცხვებისთვის საკმარისი ნაშთი;
- 10.1.8.4 გადაიხადოს მომსახურების საფასური გადარიცხვის მომენტისთვის ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად.

10.1.9 კლიენტი უფლებამოსილია:

- 10.1.9.1 ბანკის საინფორმაციო მასალაში დაფიქსირებული სერვისების საშუალებით მიიღოს ინფორმაცია მისი ანგარიშებიდან ავტომატური გადარიცხვების განხორციელების შესახებ;
- 10.1.9.2 შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები სერვისზე რეგისტრაციის თავდაპირველ განაცხადში დაფიქსირებულ მონაცემებში;

10.1.9.3 უარი განაცხადოს სერვისით სარგებლობაზე.

11. საბალეფონო მომსახურება

11.1 მომსახურების აღწერა

11.1.1 სატელეფონო მომსახურება გულისხმობს კლიენტის მიერ ბანკში გამოუცხადებლად სატელეფონო ჯავშინის გამოყენებით ბანკის მიერ განსაზღვრული;

11.1.1.1 საბანკო ინფორმაციის მიღებას;

11.1.1.2 სხვადასხვა საბანკო სერვისით სარგებლობისთვის რეგისტრაციას და ცვლილებების შეტანას რეგისტრირებულ მონაცემებში);

11.1.1.3 ლიმიტების ფარგლებში სხვადასხვა საბანკო ოპერაციის განხორციელებას.

11.1.2 სატელეფონო მომსახურება ვრცელდება კლიენტის ყველა საბანკო ანგარიშზე. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს არ სურს სატელეფონო მომსახურების მიღება მის რომელიმე ანგარიშთან დაკავშირებით, ის ვალდებულია წერილობით ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით განუცხადოს ბანკს ამის შესახებ.

11.1.3 სატელეფონო მომსახურების მისაღებად კლიენტმა ბანკს უნდა მიმართოს განაცხადით ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტის შესაბამისად.

11.2 კლიენტის იდენტიფიკაცია

11.2.1 კლიენტს დაუქველდები კონვერტით გადაეცემა სპეციალური სატელეფონო კოდი, რომლის დასახელებითაც ხდება კლიენტის იდენტიფიკაცია სატელეფონო მომსახურების განვების წინ. სატელეფონო კოდის დასახელების გარეშე არ გაიცემა ინფორმაცია ანგარიშის შესახებ და არ შესრულდება საბანკო ოპერაციები და სერვისებზე რეგისტრაცია.

11.2.2 ბანკი უფლებამოსილია გამოიყენოს დამატებითი კითხვები კლიენტის იდენტიფიკაციის მიზნით.

11.2.3 ბანკი ვალდებულია დაიცვას კლიენტისთვის გადაცემული სატელეფონო კოდის კონფიდენციალობა და უარი უთხრას სატელეფონო მომსახურებაზე პირს, რომელიც არ, ან ვერ დაასახელებს სატელეფონო კოდს.

11.2.4 იმ შემთხვევაში თუ ბანკს გაუჩნდება ეჭვი (მათ შორის დამატებითი კითხვებზე მიღებული პასუხების საფუძველზე), რომ ინფორმაციის მიღებას, ან ოპერაციის განხორციელებას ცდილობს არა კლიენტი, არამედ მესამე პირი, ბანკს უფლება აქვს უარი თქვას სატელეფონო დავალებების შესრულებაზე.

11.2.5 სატელეფონო საუბრისას კლიენტის მიერ სატელეფონო კოდის სამჯერ ზედიზედ შეცდომით დასახელების შემთხვევაში ბანკი შეაჩერებს კლიენტისთვის სატელეფონო მომსახურების განვას. სატელეფონო მომსახურება აღდგება მას შემდეგ, რაც ბანკი თავად დაუკავშირდება კლიენტს ტელეფონით და მოახდენს მის იდენტიფიკაციას სატელეფონო კოდისა და ამ დანართით გათვალისწინებული სხვა საშუალებების გამოყენებით.

11.2.6 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიზეზით სატელეფონო კოდი ცნობილი გახდა მესამე პირისთვის, ბანკი თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან ამით გამოწვეულ შედეგებზე.

11.2.7 სატელეფონო კოდის დაკარგვის, ან გამყვანების შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს ბანკს ამის შესახებ.

11.2.8 ბანკი ვალდებულია კლიენტის მიერ კოდის დაკარგვის თაობაზე ზეპირი (ტელეფონით), ან წერილობითი შეტყობინების საფუძველზე უზრუნველყოს კლიენტის ანგარიშებზე სატელეფონო მომსახურების შეჩერება, კლიენტის მხრიდან ახალი განკარგულებების მიღებამდე. ზეპირი შეტყობინების შემთხვევაში კლიენტის იდენტიფიკაცია მოხდება სატელეფონო კოდის, ან დამატებითი კითხვების მეშვეობით.

11.2.9 კლიენტის მიერ ბანკში ახალი ანგარიშის გახსნისას სატელეფონო მომსახურება განხორციელდება არსებული სატელეფონო კოდის გამოყენებით. ამ შემთხვევაში ბანკსა და კლიენტს შორის არ გაფორმდება ახალი ხელშეკრულება და ახალ ანგარიშზე გავრცელდება ამ ხელშეკრულების პირობები.

11.2.10 კლიენტს შეუძლია ამ ხელშეკრულების 11.2.1 პუნქტში აღნიშნული კოდით, დარეგისტრირდეს ბანკის მიერ რეგისტრაციის მომენტში შეთავაზებული ელექტრონული სერვისების მომხმარებლად.

11.3 კლიენტის განცხადებები, დავალებები და თანხმობები

11.3.1 კლიენტი წინასწარ აცხადებს, რომ მხოლოდ შესაბამისი მომსახურებების პირობების დეტალურად შესწავლის შემდეგ დარეგისტრირდება ამ სერვისების მომხმარებლად და რომ ამ ხელშეკრულების 11.2.1 ქვეპუნქტში აღნიშნული კოდის გამოყენებით რეგისტრაციის ნების გამოხატვა ჩაითვლება მის თანხმობად იმ სერვისის პირობებზე, რომლის მომხმარებლადაც დარეგისტრირდება კლიენტი სატელეფონო მომსახურების გამოყენებით.

11.3.2 კლიენტი ბანკს ავალდებს და უფლებას აძლევს ბანკთან ტელეფონით დაკავშირებისას, იდენტიფიკაციის შესაბამისი პროცედურის გავლის შემდეგ:

11.3.2.1 მიაწოდოს მას ინფორმაცია მისი ანგარიშების შესახებ;

11.3.2.2 მისი დავალებით შეასრულოს ბანკის მიერ სატელეფონო მომსახურების ფარგლებში დაშვებული ოპერაციები.

11.3.3 ამ ხელშეკრულებით კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ მისი ნებისმიერი მოთხოვნა საბანკო ინფორმაციის მიღების, სერვისით სარგებლობისთვის რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანის ან ოპერაციის განხორციელების შესახებ, დაფიქსირდეს ბანკის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და დავის შემთხვევაში ასეთ ჩანაწერს ჰქონდეს მტკიცებულებითი ძალა

(გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად). ჩანაწერი მიიჩნევა ბანკის საკუთრებად და ბანკი უფლებამოსილია, არ გადასცეს ის კლიენტს, სსსამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

12. პლასტიკური ბარათი

12.1 მომსახურების აღწერა

- 12.1.1 პლასტიკური ბარათით მომსახურება გულისხმობს ბანკის მიერ გამოშვებული „ვიზა“ (VISA) ან „მასტერქარდ“ (MasterCard) პლასტიკური ბარათის (შემდგომში "ბარათის"), მეშვეობით, ბიზნეს-ბარათის გარდა, კლიენტის (შემდგომში "ბარათის მფლობელის") მიერ საბანკო ოპერაციების განხორციელებას.
- 12.1.2 ამ ხელშეკრულების საფუძველზე კლიენტს შეუძლია მიიღოს ერთი, ან რამდენიმე ბარათი, რომელთა ტიპი განისაზღვრება ბარათის მფლობელის მიერ ყოველ კონკრეტულ ბარათთან დაკავშირებით ხელმოწერილი განაცხადით, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 12.1.3 ბარათის გაცემისას ბარათის მფლობელის მობილური ტელეფონის ნომერი ავტომატურად რეგისტრირდება ბანკის SMS სერვისზე (სერვისით სარგებლობის წესები და პირობები მოცემულია ბანკის მიერ გავრცელებულ საინფორმაციო მასალაში). ბარათის მფლობელი უფლებამოსილია უარი განაცხადოს აღნიშნული სერვისით სარგებლობაზე, რის შესახებ ის ვალდებულია მიუთითოს განაცხადში.
- 12.1.4 ბარათით სარგებლობის წესები დეტალურად მოცემულია „ვიზა“ (VISA) და „მასტერქარდ“ (MasterCard) საერთაშორისო სავაჭარო სისტემების პროცედურების შესაბამისად ბანკის მიერ შედგენილ საინფორმაციო მასალაში, რომელიც ბარათის მფლობელს გადაეცემა ბარათთან ერთად. საინფორმაციო მასალაში ასახული წესები წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 12.1.5 ბარათის მფლობელი არის პირი, რომლის სახელზეც გაცემულია ბარათი. ბარათის მფლობელის იდენტიფიკაცია ხდება ბარათის ზედაპირზე მითითებული სახელით, გვარით, მასზე დატანილი ხელმოწერის ნიშნითა და საიდუმლო პერსონალური საიდენტიფიკაციო კოდით (პინ-კოდი)
- 12.1.6 ბანკი უფლებამოსილია უარი განაცხადოს როგორც ბარათის გაცემაზე, ისე მის განახლებაზე მიზეზის მითითების გარეშე.
- 12.1.7 ბარათით სარგებლობის პერიოდი განისაზღვრება ბარათზე მითითებული ვადის მიხედვით. ბარათის მოქმედების ვადა იწურება ბარათზე მითითებული თვის ბოლო დღის გასვლის შემდეგ.
- 12.1.8 ბარათით სარგებლობისათვის ბარათის მფლობელი ვალდებულია პირველი წლის მომსახურების საკომისიო გადაიხადოს ბარათის დამზადებამდე; ხოლო მომდევნო წლ(ებ)ის საკომისიო(ებ)ი ბარათის დამზადებიდან ყოველი სრული წლის გასვლის შემდეგ. ყოველი მომდევნო წლის მომსახურების საკომისიო საბარათო ანგარიშიდან ჩამოიწერება ავტომატურად, თუ ყოველი სრული წლის გასვლის მომენტიდან მომდევნო თვის 15 რიცხვამდე ბარათის მფლობელი არ დააბრუნებს ბარათს ამ ხელშეკრულების 12.4.6.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით.

12.2 ბარათთან დაკავშირებული პროცედურები

- 12.2.1 ბარათი არის ბანკის საკუთრება.
- 12.2.2 ბარათით ოპერაციების წარმოებისათვის თითოეული ტიპის ბარათისთვის ბანკში გაიხსნება შესაბამისი საბარათო ანგარიშ(ებ)ი.
- 12.2.3 საბარათო ანგარიშზე სადებეტო (გასავლის) ოპერაციები დაიშვება მხოლოდ ბარათის ან ამ ხელშეკრულებაში აღწერილი ელექტრონული სერვისების გამოყენებით.
- 12.2.4 ბარათის მფლობელი უფლებამოსილია გამოიყენოს მის საბარათო ანგარიშზე არსებული თანხა ბარათის მომსახურების საკომისიოების და მინიმალური ნაშთის გამოკლებით. თანხის გადახარჯვის შემთხვევაში ძირითად თანხას ასევე გამოაკლდება გადახარჯვასთან დაკავშირებული საკომისიოები.
- 12.2.5 ბარათისა და საბარათო ანგარიშის გამოყენება შეიძლება დამატებით შეიზღუდოს ბანკის მიერ შესაბამისი ლიმიტების დაწესების გზით.
- 12.2.6 ბარათის მფლობელის განყარგულებით დასაშვებია საბარათო ანგარიშზე დამატებითი ბარათების გაცემა, დამატებითი ბარათი გაიცემა და მისი მფლობელის ვინაობა განისაზღვრება ბარათის მფლობელის მიერ ხელმოწერილი განაცხადით.
- 12.2.7 ბანკს უფლება აქვს თავისი ინიციატივით დააკავშიროს სხვადასხვა ვალუტის ანგარიში ერთ ბარათთან, ან რამდენიმე ერთი და იმავე ტიპის ბარათი ერთ ანგარიშთან. ვალუტების პრიორიტეტულობას განსაზღვრავს ბარათის მფლობელი.
- 12.2.8 ბარათის მისაღებად (მიუხედავად იმისა ძირითადად ის, თუ დამატებითი), ბარათის მფლობელმა ბანკს უნდა წარუდგინოს შესაბამისი განაცხადი, შეიტანოს, ან ჩარიცხოს ანგარიშზე მინიმალური ნაშთი და ბარათის წლიური მომსახურების საკომისიო ბანკის მიერ განსაზღვრული ტარიფების შესაბამისად.
- 12.2.9 საბარათო ანგარიშზე ამ ხელშეკრულების 12.2.8 ქვეპუნქტში დასახელებული თანხის ჩარიცხვის შემდეგ, ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში, ბანკი დაამზადებს და ბარათის მფლობელს გადასცემს ბარათს და პინ-კოდს შესაბამისი დოკუმენტაციის (პლასტიკური ბარათით სარგებლობის წესების) თანხლებით.
- 12.2.10 იმ შემთხვევაში, თუ ბარათის დამზადებიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში ბარათის მფლობელი არ ჩაიბარებს ბარათს, ბანკს უფლება აქვს გაანადგუროს ბარათი. ამ შემთხვევაში ბარათის მფლობელს არ უბრუნდება მის მიერ გადახდილი საკომისიოები. ბარათზე რიცხული მინიმალური ნაშთი და სხვა თანხები ბარათის მფლობელს დაუბრუნდება ამ ხელშეკრულების 12.4.6.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით.

- 12.3 საბარათე ანგარიშზე რიცხული თანხები, არასანქცირებული და ავტომატური ოვერდრაფტი
- 12.3.1 მინიმალური ნაშთი არის თანხა, რომელიც დაბლოკილია საბარათე ანგარიშზე ბარათის მოქმედების ვადის განმავლობაში. მინიმალური ნაშთის ოდენობა განისაზღვრება ბარათის ტიპის მიხედვით, ბანკის მიერ დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ტრანზაქციის შედეგად საბარათე ანგარიშზე არსებული თანხა აღმოჩნდება მინიმალური ნაშთზე ნაკლები, ბარათის მფლობელი ვალდებული იქნება დაუყოვნებლივ შეიტანოს ან ცარიცხოს საბარათე ანგარიშზე თანხა, რომელიც საკმარისი იქნება მინიმალური ნაშთის შესავსებად.
- 12.3.2 საბარათე ანგარიშზე რიცხული თანხების განჯარგვა დასაშვებია ბანკის მიერ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში, ხოლო მინიმალური ნაშთის თავისუფალი განჯარგვა შესაძლებელია მხოლოდ ანგარიშთან დაკავშირებული ყველა ბარათის გაუქმების შემთხვევაში ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.
- 12.3.3 იმ შემთხვევაში, თუ ბარათით ანგარიშსწორება განხორციელდება საბარათე ანგარიშის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, მაშინ ბარათის მფლობელის ანგარიშიდან მოხდება თანხის ჩამოწერა და კონვერტაცია. კონვერტაცია ბანკის ქსელში მოხდება ანგარიშსწორების დღეს ბანკის მიერ დაწესებული კურსით, ხოლო ქსელის გარეთ „ვიზას“ (VISA) ან „მასთერქარდის“ (MasterCard) მიერ დაწესებული კურსით.
- 12.3.4 არასანქცირებული ოვერდრაფტი არის ბანკის თანხმობის (ნებართვის) გარეშე ბარათის მფლობელის საბარათე ანგარიშზე წარმოშობილი უარყოფითი ნაშთი (დავალიანება), გარდა ამ ხელშეკრულების 12.3.6 ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
- 12.3.5 არასანქცირებული ოვერდრაფტის წარმოშობის შემთხვევაში ბარათის მფლობელი ვალდებული იქნება შეავსოს თანხა მინიმალური ნაშთის ოდენობამდე არასანქცირებული ოვერდრაფტის წარმოშობიდან არაუგვიანეს 2 (ორი) დღისა.
- 12.3.6 ავტომატური ოვერდრაფტი არის ბარათის მფლობელის მიერ ბანკისგან მიღებული საკრედიტო რუსურსი, რომლის ათვისების უფლებასაც ბარათის მფლობელი მოიპოვებს ბანკის მიერ მისი საკრედიტო პოლიტიკის შესაბამისად დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში.
- 12.3.7 ავტომატური ოვერდრაფტით სარგებლობის შემთხვევაში ბარათის მფლობელი ვალდებული იქნება დააბრუნოს ათვისებული (კრედიტის სახით მიღებული) თანხა ბანკის მიერ ავტომატური ოვერდრაფტის დაფარვისთვის გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- 12.3.8 არასანქცირებული ან ავტომატური ოვერდრაფტით სარგებლობისათვის ბარათის მფლობელი ვალდებული იქნება გადაუხადოს ბანკს სარგებელი, რომლის წლიური განაკვეთი დგინდება არასანქცირებული ან ავტომატური ოვერდრაფტის წარმოშობის მომენტისთვის ბანკის მიერ არასანქცირებული ან ავტომატური ოვერდრაფტით სარგებლობისთვის დადგენილი ტარიფების შესაბამისად, კალენდარული წლის 365 (სამას სამოცდახუთი) დღეზე გაანგარიშებით. სარგებელი (პროცენტი) ოვერდრაფტს დაერიცხება წარმოშობის თარიღიდან მისი სრულად დაფარვის (ფაქტობრივად გადახდის) თარიღამდე.
- 12.4 ბარათის და საბარათე ანგარიშის მოქმედების შეჩერება ან გაუქმება
- 12.4.1 ბარათის მოქმედება შეჩერდება ბარათის მფლობელის სურვილის დაფიქსირების, ბარათის დაჯარგვის ან მოპარვის შემთხვევაში. ბარათის მფლობელი ვალდებულია ბარათის დაჯარგვის შესახებ დაუყოვნებლივ წერილობით ან ტელეფონით (ნომერზე +99532 272727) შეაგყობინოს ბანკს. ბანკი უზრუნველყოფს ბარათის მოქმედების შეჩერებას ბარათის მფლობელის მიერ განსაზღვრული მეთოდის მიხედვით ბარათის მონაცემების შეტანით:
 - 12.4.1.1 ლოკალურ სტოპ-სიაში, რომელიც მაქსიმუმ 1 (ერთ) საბანკო დღეში უზრუნველყოფს ბარათის ბლოკირებას მხოლოდ ავტორიზებული ტრანზაქციებისთვის;
 - 12.4.1.2 საერთაშორისო სტოპ-სიაში, რომელიც უზრუნველყოფს ბარათის სრულ ბლოკირებას (უავტორიზაციო ტრანზაქციებისთვის) მინიმუმ 2 (ორ) კვირაში.
- 12.4.2 ბარათის მფლობელის მიერ ამ ხელშეკრულებით ან ბარათით სარგებლობის წესებით განსაზღვრული რომელიმე პირობის დარღვევის შემთხვევაში ბანკს ნებისმიერ დროს შეუძლია შეაჩეროს ან დაბლოკოს როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ბარათების მოქმედება.
- 12.4.3 ბარათზე მითითებული ვადის განმავლობაში ბარათის მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს ბლოკირებული ბარათით განხორციელებული უავტორიზაციო ტრანზაქციებით წარმოშობილი ზიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბლოკირება არ განხორციელდა საერთაშორისო სტოპ-სიაში შეტანით.
- 12.4.4 ბარათის მფლობელი უფლებამოსილია გაასაჩივროს საერთაშორისო სტოპ-სიაში ბლოკირებული ბარათით განხორციელებული ტრანზაქცია.
- 12.4.5 ბარათის მფლობელი ვალდებულია გადაიხადოს ბარათის სტოპ-სიაში შეტანის საკომისიო.
- 12.4.6 საბარათე ანგარიში დაიხურება:
 - 12.4.6.1 ბარათის მფლობელის წერილობითი განაცხადის საფუძველზე ან ბარათის მოქმედების ვადის გასვლიდან 30 (ოცდაათი) დღის შემდგომ, თუ ამ ხნის განმავლობაში ბარათის მფლობელი წერილობით არ განაცხადებს მოთხოვნას ბარათის მოქმედების გაგრძელების შესახებ., ასეთ შემთხვევებში, საბარათე ანგარიში ჩაითვლება დახურულად და ბარათის მფლობელს დაუბრუნდება თანხები ყველა ბარათის (მათ შორის დამატებითი ბარათ(ებ)ის) ბანკისათვის გადაცემიდან არანაკლებ 30 (ოცდაათი) დღის ვადაში, მხოლოდ მას შემდეგ, რაც სრულად დაიფარება ბანკის მიმართ არსებული ყველა დავალიანება. იმ შემთხვევაში თუ საბარათე ანგარიში ძირითადი ანგარიშის სატარიფო ჰაუკისათვის და სხვა ალტერნატიული ანგარიში, რომლის მითითებაც შესაძლებელია ძირითად ანგარიშად (მიმდინარე/საბარათე) არ აქვს ბარათის მფლობელს, ბარათთან ერთად ავტომატურად ხდება სატარიფო ჰაუკის

დახურვაც. ამასთან, უქმდება ყველა პირობა, რომელიც გათვალისწინებული იყო სატარიფო ჰაყეტის პრიორიტეტის პირობებით.

- 12.4.6.2 ბანკსა და „ვიზას“ (VISA) ან „მასტერქარდს“ (MasterCard) შორის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში. ბანკი ვალდებულია 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში შეატყობინოს ბარათის მფლობელს საბარათე ანგარიშის დახურვის შესახებ.
- 12.4.7 ბარათით განხორციელებულ ტრანზაქციებს ბანკი აკონტროლებს სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის – მონიტორინგის მოდულის მეშვეობით, რაც ნიშნავს იმას, რომ ბანკს უფლება აქვს დროებით შეაჩეროს ბარათის მოქმედება საექვო ტრანზაქციების დაფიქსირებისას (მონიტორინგი). ბარათის მფლობელი უფლებამოსილია უარი განაცხადოს მისი ბარათის მონიტორინგზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რაც ფიქსირდება განაცხადით.
- 12.5 მხარეთა ვალდებულებები და უფლებები
 - 12.5.1 ბარათის მფლობელი ვალდებულია:
 - 12.5.1.1 გადაცემის მომენტში შეამოწმოს იმ კონვერტის მთლიანობა, რომელშიც პინ-კოდია მოთავსებული;
 - 12.5.1.2 შეინახოს ბარათით განხორციელებული ყველა ოპერაციის დამადასტურებელი საბუთი ასეთი ოპერაციის განხორციელებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში და საჭიროების შემთხვევაში წარუდგინოს ისინი ბანკს.
 - 12.5.1.3 თავის საბარათე ანგარიშზე ოპერაციების (ტრანზაქციების) არცნობის შემთხვევაში წერილობით მიმართოს ბანკს ოპერაციის განხორციელებიდან (ტრანზაქციიდან) 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჩივრები თანხის დაბრუნებაზე არ მიიღება. ამასთან ინტერნეტში განხორციელებული ტრანზაქციების გასაჩივრების უფლება ბარათის მფლობელს არ აქვს. ბარათის მფლობელი ვალდებულია გადაიხადოს „ვიზას“ (VISA) ან „მასტერქარდის“ (MasterCard) მიერ პრობლემის გამოძიებასთან დაკავშირებით დაწესებული დამატებითი მომსახურებების საფასური.
 - 12.5.1.4 არ დაუშვას ბარათის ან პინ-კოდის შესამე პირებისთვის გადაცემა (გამყლავნება);
 - 12.5.1.5 ანახლავს ბანკის მიერ განული ის დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია „ვიზას“ (VISA) ან „მასტერქარდის“ (MasterCard) მიერ ბარათის დამატებითი სახის ფასიან მომსახურებებთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
 - 12.5.2 გასაჩივრებული ტრანზაქციის (ოპერაციის) გაქმების შედეგად თანხის დაბრუნების შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია მაქსიმუმ 90 (ოთხმოცდაათი) დღის განმავლობაში უზრუნველყოს კლიენტის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა.
 - 12.5.3 ბანკი უფლებამოსილია:
 - 12.5.3.1 უზრუნველყოს ნავაჭრო ან მომსახურების ობიექტის მიერ (მათ შორის ჯახინო, გოტალიზატორი და სხვა) მინიმალური ნაშთის ზევით ჩარიცხული თანხის საბარათე ანგარიშზე ასახვა ჩარიცხვიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში.
 - 12.5.3.2 დაბლოკოს ბარათი (შეაჩეროს ოპერაციები) იმ შემთხვევაში, თუ ბანკს აქვს ეჭვი, რომ ბარათის გამოყენებით ან საბარათე ანგარიშზე ხორციელდება არასანქცირებული ან მართლსაწინააღმდეგო ოპერაციები.
 - 12.5.4 ბანკი არ არის პასუხისმგებელი:
 - 12.5.4.1 ბარათის მფლობელსა და მომსახურების ობიექტებს შორის წარმოქმნილ სადავო სიტუაციებზე.
 - 12.5.4.2 ბარათის არასანქცირებული გამოყენებისათვის იმ ფაქტების გამო, რომლებიც ბარათის მფლობელის მიზეზით არის გამოწვეული, მათ შორის, ბარათის მფლობელის მიერ ბარათზე მონიტორინგის გაქმების მოთხოვნის მოქმედების პერიოდში.

13. ბანკობით თანხის შატანა (ამოღებული)

14. საარლიბო ლიმიტი

- 14.1 საბარათე ანგარიშზე საყრედიტო ლიმიტის დაშვება გულისხმობს ბარათის მფლობელისთვის საყრედიტო რესურსით საყრებლობის უფლების მინიჭებას, საყრედიტო ლიმიტით გათვალისწინებული თანხის ფარგლებში.
- 14.2 საბარათე ანგარიშზე საყრედიტო ლიმიტის დასაშვებად ბარათის მფლობელი ბანკს მიმართავს განაცხადით. განაცხადში აღინიშნება საყრედიტო ლიმიტის მაქსიმალური ოდენობა, რომლის მიღებაც სურს ბარათის მფლობელს; საყრედიტო ლიმიტის ვალუტა, ვადა, რომლის განმავლობაშიც ბარათის მფლობელი მხად არის დაბრუნოს ათვისებული საყრედიტო ლიმიტი; საყრებლობის წლიური საპროცენტო განაკვეთი (ბანკის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად) და სხვა ინფორმაცია.
- 14.3 ბარათის მფლობელის განაცხადის მიღების შემდეგ ბანკი განიხილავს საყრედიტო ლიმიტის დაშვების საყრებლობის და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ბარათის მფლობელს აძლევს უფლებას, ისარგებლოს მის ანგარიშზე დაშვებული საყრედიტო ლიმიტით ბანკის მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად, რის შესახებაც ბარათის მფლობელს ინფორმაცია მიწოდება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ფორმით. ამასთან, კლიენტი ვალდებულია განაცხადის ბანკისთვის მიწოდებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის გასვლის შემდეგ ამ ხელშეკრულების 11.2.1 ქვეპუნქტში აღნიშნული კოდის გამოყენებით დაუკავშირდეს ბანკის სატელეფონო სერვისცენტრს (+99532 272727) მის საბარათე ანგარიშზე საყრედიტო ლიმიტის დაშვების შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

- 14.4 ათვისებული საკრედიტო ლიმიტით სარგებლობისათვის ბარათის მფლობელი ვალდებული იქნება გადაუხადოს ბანკს სარგებელი, რომლის წლიური განაკვეთი დგინდება ლიმიტის ათვისების მომენტისთვის ბანკის მიერ საკრედიტო ლიმიტით სარგებლობისთვის დადგენილი ტარიფების შესაბამისად, ჯალენდარული წლის 365 (სამას სამოცდახუთი) დღეზე გაანგარიშებით. სარგებელი (პროცენტი) ათვისებულ საკრედიტო ლიმიტს დაერიცხება წარმოშობის თარიღიდან მისი სრულად დაფარვის (ფაქტობრივად გადახდის) თარიღამდე.
- 14.5 საკრედიტო ლიმიტის ან მისი ნაწილის ათვისების მომენტიდან ბარათის მფლობელს წარმოეშობა ყოველთვიურად გადასახდელი თანხის ბანკისთვის გადახდის ვალდებულება. ყოველთვიურად გადასახდელი თანხა მოიცავს: სადაზღვევო ჰრემიის თანხას, ათვისებული საკრედიტო ლიმიტის ნაწილს და ათვისებულ საკრედიტო ლიმიტზე დარიცხულ სარგებელს.
- 14.6 ყოველთვიურად გადასახდელი თანხა გადახდილი უნდა იქნეს ყოველი თვის იმ რიცხვამდე, რომელსაც ბარათის მფლობელი მიუთითებს განაცხადში საკრედიტო ლიმიტის დაშვების შესახებ.
- 14.7 ყოველთვიურად გადასახდელი თანხის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში ბარათის მფლობელი ვალდებულია გადაუხადოს ბანკს პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისთვის, რომელიც შედგება ფიქსირებული პირგასამტეხლოსა და ყოველდღიური პირგასამტეხლოსგან და რომელთა ოდენობაც განისაზღვრება ვადაგადაცილების წარმოშობის მომენტში ბანკის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად.
- 14.8 ბარათის მფლობელის მიერ ბანკისთვის გადახდილი თანხით ბარათის მფლობელის დავალიანება დაიფარება შემდეგი თანმიმდევრობით: პირველ რიგში სადაზღვევო ჰრემია, შემდეგ პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ სარგებელი, შემდეგ კრედიტის ძირითადი თანხა.
- 14.9 იმ შემთხვევაში, თუ ბარათის მფლობელი ბანკთან შეთანხმებულ ვადაში არ დაფარავს საკრედიტო ლიმიტის ათვისების გზით მის მიერ ბანკისგან მიღებულ კრედიტს, მასზე დარიცხულ სარგებელს, პირგასამტეხლოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სადაზღვევო ჰრემიას ან დროულად არ გადაიხდის ბანკის მიერ განსაზღვრულ რომელიმე საკომისიოს, ბანკს უფლება ექნება საკუთარი მოთხოვნა დაიკამაფილოს ბარათის მფლობელის ნებისმიერი აქტივის რეალიზაციის ხარჯზე, ეს უფლება არ ზღუდავს ბანკის მიერ ამ ხელშეკრულების 3.2 პუნქტის საფუძველზე წარმოშობილი უფლების გამოყენებას.
- 14.10 ბანკს უფლება აქვს:
 - 14.10.1 ბარათის მფლობელისთვის წინასწარ შეტყობინების გარეშე ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეაჩეროს/გააუქმოს ბარათის მოქმედება ან გააუქმოს/შეამციროს საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის უფლება და მოითხოვოს ბარათის მფლობელის მიერ ათვისებული თანხის (კრედიტის) დაბრუნება მასზე დარიცხულ სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად.
 - 14.10.2 ნებისმიერ დროს მოსთხოვოს ბარათის მფლობელს საკრედიტო ლიმიტის ათვისებით წარმოშობილი დავალიანების დაფარვის უზრუნველსაყოფად მასთან იპოთეკის ან გირავნობის ხელშეკრულების დადება. ამ შემთხვევაში ბარათის მფლობელი ვალდებული იქნება ბანკის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა ბანკთან გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება, რომლითაც იპოთეკით დაგვირავს ან დააგვირავებს ბანკისთვის მისაღებ ქონებას, რომლის ღირებულებაც არ უნდა იყოს ათვისებული საკრედიტო ლიმიტის, მასზე დარიცხული სარგებლისა და პირგასამტეხლოს ჯამზე ნაკლები და უზრუნველყოს ბანკის უფლებების რეგისტრაცია შესაბამის რეესტრში. ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმებისა და მათ საფუძველზე წარმოშობილი უფლებების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ხარჯებს გაიტებს ბარათის მფლობელი.
 - 14.10.3 საკუთარი ინიციატივით, ბარათის მფლობელისთვის წინასწარ შეტყობინების გარეშე ბარათის მფლობელის საბარათო ანგარიშზე დაუშვას საკრედიტო ლიმიტი, გაზარდოს საბარათო ანგარიშზე უკვე დაშვებული ლიმიტი ან საკრედიტო ლიმიტის მოქმედების ვადა, რაზეც ბარათის მფლობელი თანხმობას აცხადებს საკრედიტო ლიმიტის დაშვების შესახებ განაცხადის ხელმოწერით.
- 14.11 საბარათო ანგარიშზე საკრედიტო ლიმიტის დაშვებისთვის, უკვე დაშვებული ლიმიტის ვადის გაგრძელებისთვის, საკრედიტო ლიმიტის მოცულობის გაზრდისთვის ან საკრედიტო ლიმიტთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღებისთვის ბარათის მფლობელი იხდის საკომისიოს ბანკის მიერ განსაზღვრული ტარიფების შესაბამისად.
- 14.12 იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო ლიმიტის დაშვებისთვის ბანკი მოითხოვს მისთვის სადაზღვევო პოლისის წარდგენას, ბარათის მფლობელი ვალდებული იქნება:
 - 14.12.1 დაზღვევის ხელშეკრულება დადოს ბანკისათვის მისაღებ პირთან, ამ უკანასკნელის მიერ განსაზღვრული პირობებისა და ტარიფების შესაბამისად;
 - 14.12.2 დაზღვევა განახორციელოს ბანკის მიერ მოთხოვნილი პირობების დაცვით.
 - 14.12.3 უზრუნველყოს სადაზღვევო პოლისში ერთადერთ ბენეფიციარად ბანკის დასახელება.
- 14.13 იმ შემთხვევაში თუ ბარათის მფლობელი არ გადაიხდის სადაზღვევო ჰრემიას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და ვადებში დავალიანება ჩაითვლება ვადაგადაცილებულად.
- 14.14 ამ ხელშეკრულების 14.9 პუნქტში მითითებული ვადაგადაცილების წარმოშობის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია გაზარდოს საპროცენტო განაკვეთი საკრედიტო ლიმიტით სარგებლობისათვის წლიური 4%-ის ოდენობით დამატებითი შეტყობინების გარეშე. პირვანდელი საპროცენტო განაკვეთი აღდგება ვადაგადაცილებული დავალიანების დაფარვისთანავე.

- 14.15 დაზღვევის პირობების არსებითი გაუარესების ან სადაზღვევო ტარიფების გაზრდის შემთხვევაში ბარათის მფლობელს უფლება ექნება წერილობით გამოხატოს სავალდებულო დაზღვევის მოთხოვნის გაუქმების სურვილი. ბანკი ცალმხრივად იღებს გადაწყვეტილებას სავალდებულო დაზღვევის მოთხოვნის გაუქმების შესახებ ხელმძღვანელობს რა საკუთარი დაკრედიტების პრინციპებითა და წესებით.
- 14.16 ბარათის მფლობელი თანახმაა, რომ ბანკმა ამ ხელშეკრულების 3.2 პუნქტით გათვალისწინებული წესით ყოველთვიურად ჩამოწეროს სადაზღვევო პრემიის თანხა მზღვეველის (სადაზღვევო კომპანიის) სასარგებლოდ ბარათის მფლობელის ნებისმიერი ანგარიშიდან.

15. მომსახურება ანაბრით

- 15.1 მომსახურების აღწერა
 - 15.1.1 ანაბრით მომსახურება გულისხმობს კლიენტის (შემდგომში “მეანაბრის”) განაცხადის საფუძველზე ბანკის მიერ მეანაბრისთვის საანაბრო ანგარიშის გახსნას და ანგარიშზე რიცხული თანხისთვის საპროცენტო სარგებლის დარიცხვას.
 - 15.1.2 მეანაბრეს შეუძლია ისარგებლოს ვადანი და მოთხოვნამდე ანაბრებით და მათი სახესხვაობებით (მოდელიკაცებით).
- 15.2 ანაბრისთვის საპროცენტო სარგებლის დარიცხვა
 - 15.2.1 ანაბრისთვის საპროცენტო სარგებლის დარიცხვა ხდება წელიწადში 365 დღეზე გადაანგარიშებით მხარეთა მიერ ყოველ კონკრეტულ ანაბართან დაკავშირებით ხელმოწერილი ანაბრის ხელშეკრულების შესაბამისად.
 - 15.2.2 ანაბრისთვის დასარიცხი საპროცენტო სარგებლის გამოანგარიშება იწყება თანხის ანგარიშზე შეტანის ან ჩარიცხვის დღის მომდევნო სამუშაო დღიდან.
- 15.3 ბანკის ვალდებულებები და უფლებები
 - 15.3.1 ბანკი ვალდებულია:
 - 15.3.1.1 მიიღოს ანაბარი და დაარიცხოს მას საპროცენტო სარგებელი ამ ხელშეკრულების შესაბამისად;
 - 15.3.1.2 ანაბრის ვადის გასვლის ან მეანაბრის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღისა (ანაბრის ტიპის შესაბამისად) ანაბრის თანხა და დარიცხული სარგებელი გადასცეს მეანაბრეს იმავე ვალუტაში.
 - 15.3.2 ბანკი უფლებამოსილია:
 - 15.3.2.1 განჯარგოს საანაბრო ანგარიშზე რიცხული თანხა საკუთარი სახელითა და შეხედულებისამებრ;
 - 15.3.2.2 კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოდენობითა და პერიოდულობით ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაარიცხოს სამემოსავლო გადასახადი ანაბარზე დარიცხული საპროცენტო სარგებლისათვის;
 - 15.3.2.3 კანონმდებლობის ან ბანკთან დადებული ნებისმიერი ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების შესრულების მიზნით, მეანაბრის შემდგომი თანხმობის, ან ნებართვის გარეშე, ასეთი ვალდებულების წარმოშობის შემდეგ ნებისმიერ დროს უაქცეპტო წესით ჩამოწეროს თანხები მეანაბრის ნებისმიერი საანაბრო ანგარიშიდან ან/და დახუროს (შენწყვიტოს) ანაბარი.
- 15.4 ვადანი ანაბრის განსაკუთრებული პირობები
 - 15.4.1 ვადანი ანაბრის შემთხვევაში საპროცენტო სარგებელი დაერიცხება საანაბრო ანგარიშზე არსებულ ნაშთს.
 - 15.4.2 ვადანი ანაბრისთვის (ვადანი, ვადანი +, ზრდადი, საბავშვო, ოქროს ანაბარი ბონუს ანაბარი)დარიცხული საპროცენტო სარგებელი მეანაბრის მიერ მითითებულ ანგარიშზე ჩაირიცხება წინასწარ, ყოველთვიურად ან ანაბრის ვადის გასვლის (ამოწურვის) შემდეგ მეანაბრესა და ბანკს შორის გაფორმებული ანაბრის ხელშეკრულების შესაბამისად.
 - 15.4.3 იმ შემთხვევაში, თუ მეანაბრე აირჩევს საპროცენტო სარგებლის ყოველთვიურად ჩარიცხვას, დარიცხული სარგებლის ჩარიცხვა მეანაბრის მიერ მითითებულ ანგარიშზე მოხდება ყოველი თვის იმ რიცხვში, რომელშიც გაიხსნა ანაბარი.
 - 15.4.4 იმ შემთხვევაში, თუ მეანაბრის განაცხადში აღნიშნული თანხა ანგარიშზე არ იქნება შეტანილი ან ჩარიცხული განაცხადის გაკეთებიდან ერთი დღის ვადაში, ბანკისა და მეანაბრის შეთანხმება (ხელშეკრულება) ანაბრის გახსნის შესახებ ჩაითვლება ავტომატურად გაუქმებულად.
 - 15.4.5 იმ შემთხვევაში, თუ მეანაბრე ანაბრის ვადის გასვლამდე მოითხოვს მისთვის ანაბრის დაბრუნებას, ანაბრისთვის სარგებლის დარიცხვა მოხდება ბანკის მიერ ცალმხრივად, საკუთარი შეხედულებით განსაზღვრული, განსხვავებული (შემცირებული) საპროცენტო განაკვეთის მიხედვით.
 - 15.4.6 ამ ხელშეკრულების 15.4.5 ქვეპუნქტში აღწერილ შემთხვევაში მეანაბრე ვალდებული იქნება, გადაუხადოს ბანკს პირგასამტეხლო, რომელიც ტოლი იქნება სხვაობისა ანაბარზე სტანდარტულად დასარიცხ და ამ ხელშეკრულების 15.4.5 ქვეპუნქტის შესაბამისად დარიცხულ საპროცენტო სარგებლის ოდენობებს შორის.
 - 15.4.7 ანაბრის ვადის გასვლის შემდეგ ანაბრის ვადა ავტომატურად გაგრძელდება ანაბრის ხელშეკრულებაში მითითებული ვადით მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში. ანაბრის ვადის ავტომატური გაგრძელებისას (პროლონგაციისას) ყოველი ახალი ანაბრის გახსნის თარიღი დაემთხვევა წინა ანაბრის ვადის გასვლის თარიღს, ხოლო საპროცენტო სარგებელი სამემოსავლო გადასახადის გადახდის შემდეგ დაემატება ანაბრის ძირითად თანხას (მოხდება კაპიტალიზაცია) ან ჩაირიცხება მეანაბრის სხვა ანგარიშზე

მეანაბრის სურვილის შემთხვევაში, ანაბრის ვადის ავტომატურად გაგრძელების შემთხვევაში ანაბარზე გავრცელება ბანკის მიერ ვადის გაგრძელების დროს ამ სახის ანაბრისთვის დადგენილი პირობები.

- 15.4.8 ბანკს უფლება აქვს ანაბრის ვადის გასვლის შესახებ მეანაბრეს აცნობოს მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) მეშვეობით ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით, მეანაბრეს შეტყობინება გაეზავნება მის მიერ ანაბრის გახსნის მომენტში ბანკისთვის წარდგენილ განაცხადში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე. უტილენტი ვალდებულია შეატყობინოს ბანკს ამ ნომრის შეცვლის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი პასუხს არ აგებს დამდგარ შედეგებზე.
- 15.4.9 მეანაბრის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში ბანკი ვადიან ანაბართან და მის სახესხვაობებთან დაკავშირებით გასცემს შემნახველ წიგნაკს.
- 15.5 მოთხოვნამდე ანაბრის განსაკუთრებული პირობები
- 15.5.1 შემნახველი ანაბრის შემთხვევაში საპროცენტო სარგებელი დაერიცხება ყოველი საოპერაციო დღის ბოლოს საანაბრო ანგარიშზე არსებულ ნაშთს.
- 15.5.2 ანაბრის “ ჩემი სეიფი ” შემთხვევაში საპროცენტო სარგებელი დაერიცხება ქალენდარული თვის პირველი რიცხვიდან იმავე თვის ბოლო რიცხვის ჩათვლით პერიოდში ყოველი საოპერაციო დღის ბოლოს საანაბრო ანგარიშზე დაფიქსირებულ ნაშთებს შორის უმცირესს.
- 15.5.3 მოთხოვნამდე ანაბრისთვის (შემნახველი ანაბრისთვის და ანაბრისთვის “ ჩემი სეიფი ”) დაერიცხული საპროცენტო სარგებელი მეანაბრის მიერ მითითებულ ანგარიშზე ჩაირიცხება თვეში ერთხელ, ყოველი ქალენდარული თვის ბოლო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ ქალენდარული თვის ბოლო დღე დაემთხვევა დასვენების ან უქმე დღეს საპროცენტო სარგებლის ჩარიცხვა მოხდება მომდევნო სამუშაო დღეს.
- 15.5.4 მოთხოვნამდე ანაბრის საანაბრო ანგარიშზე თანხის შეტანა/ჩარიცხვა და ამ ანგარიშიდან თანხის გატანა/გადარიცხვა (მხოლოდ მეანაბრის ანგარიშებზე) შეუზღუდავია.

16. მომსახურება მობილური ბანკით

- 16.1 მომსახურების აღწერა
- 16.1.1 მობილური ბანკით მომსახურება გულისხმობს უტილენტის მიერ ბანკში გამოუცხადებლად მის კუთვნილ მობილური ტელეფონის აპარატში ჩაწერილი (ინსტალირებული) პროგრამის გამოყენებით ბანკის მიერ განსაზღვრული:
 - 6.1.1.1 საბანკო ინფორმაციის მიღებას;
 - 6.1.1.2 სხვადასხვა საბანკო მომსახურებით (სერვისით) სარგებლობისთვის რეგისტრაციას და ცვილებების შეტანას რეგისტრირებულ მონაცემებში);
 - 6.1.1.3 ლიმიტების ფარგლებში სხვადასხვა საბანკო ოპერაციის განხორციელებას.
- 16.1.2 მობილური ბანკით მომსახურების მიღებისთვის უტილენტმა საკუთარი მობილური ტელეფონის აპარატის მესიერებაში ბანკის საინფორმაციო მასალაში მითითებული ინტერნეტ-გვერდიდან უნდა გადაწეროს და გაააქტიუროს სპეციალური კომპიუტერული პროგრამა (შემდგომში „პროგრამა“).
- 16.1.3 მობილური ბანკით მომსახურებაზე ვრცელდება ამ ხელშეკრულების პირობები ამ მუხლით დადგენილ გამონაკლისების გათვალისწინებით.
- 16.1.4 ამ ხელშეკრულების მე-16 მუხლში მოცემული პირობები გამოიყენება უტილენტის უკლებლივ ყველა საბანკო ანგარიშთან მიმართებაში.
- 16.2 უტილენტის იდენტიფიკაცია:
 - 16.2.1 უტილენტი საბანკო მომსახურებით (სერვისით) სარგებლობისთვის რეგისტრაციას ახორციელებს ამ ხელშეკრულების 11.2.1 ქვეპუნქტში აღნიშნული კოდის გამოყენებით.
 - 16.2.2 კოდის პირველივე გამოყენების შემდეგ უტილენტი ვალდებულია შეცვალოს ის ახალი პაროლით მობილური ბანკით სარგებლობისთვის (შემდგომში „ პაროლით“).
 - 16.2.3 უტილენტი ვალდებულია დაიცვას მის მიერ შექმნილი პაროლის უკონფიდენციალობა და არ დაუშვას მისი მოხვედრა მესამე პირის განკარგულებაში.
 - 16.2.4 მისი კუთვნილი მობილური ტელეფონის აპარატის სხვა პირისთვის გადაცემის წინ უტილენტი ვალდებულია, წაშალოს მობილური ტელეფონის აპარატის მესიერებაში ჩაწერილი პროგრამა.
 - 16.2.5 კოდის გამყვანების ან მობილური ტელეფონის დაკარგვის შემთხვევაში უტილენტი ვალდებულია, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს ბანკს ამის შესახებ.
 - 16.2.6 იმ შემთხვევაში, თუ უტილენტის მიზიებით სატელეფონო კოდი ან პაროლი ცნობილი გახდა მესამე პირისთვის, ბანკი თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან ამით გამონწვეულ შედეგებზე.
 - 16.2.7 ბანკი ვალდებულია უტილენტის მიერ კოდის გამყვანების ან ტელეფონის დაკარგვის თაობაზე ზეპირი (ტელეფონით), წერილობითი, ან ინტერნეტ-ბანკის მეშვეობით შეტყობინების საფუძველზე უზრუნველყოს უტილენტის ანგარიშებზე მობილური ბანკით მომსახურების შეჩერება უტილენტის მხრიდან ახალი დავალების მიღებამდე. ზეპირი შეტყობინების შემთხვევაში უტილენტის იდენტიფიკაცია მოხდება სატელეფონო კოდის, ან დამატებითი კითხვების მეშვეობით.
 - 16.2.8 უტილენტის მიერ ბანკში ახალი ანგარიშის გახსნისას მობილური ბანკით მომსახურება განხორციელდება უტილენტის მიერ ამ ხელშეკრულების 16.2.2 ქვეპუნქტის შესაბამისად შექმნილი პაროლის გამოყენებით. ამ შემთხვევაში ბანკსა და უტილენტს შორის არ გაფორმდება ახალი ხელშეკრულება და ახალ ანგარიშზე გავრცელება ამ ხელშეკრულების პირობები.

- 16.3 კლიენტის განცხადებები, დავალებები და თანხმობები
- 16.3.1 კლიენტი წინასწარ აცხადებს, რომ მხოლოდ შესაბამისი ელექტრონული სერვისების პირობების დეტალურად შესწავლის შემდეგ დარეგისტრირდება ამ სერვისების მომხმარებლად და რომ ამ ხელშეკრულების 11.2.1 ქვეპუნქტში დასახელებული კოდით ან ამ ხელშეკრულების 16.2.2 ქვეპუნქტის შესაბამისად მის მიერ შექმნილი ჰაროლის გამოყენებით რეგისტრაციის ნების გამოხატვა პროგრამის მეშვეობით ჩაითვლება მის თანხმობად იმ სერვისის პირობებზე, რომლის მომხმარებლადც დარეგისტრირდება კლიენტი.
- 16.3.2 ამ ხელშეკრულებით კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ მისი ნებისმიერი მოთხოვნა (დავლება) საბანკო ინფორმაციის მიღების, სერვისით სარგებლობისთვის რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანის ან ოპერაციის განხორციელების შესახებ დაფიქსირდეს ბანკის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და დავის შემთხვევაში ასეთ ჩანაწერს ჰქონდეს მტკიცებულებითი ძალა (გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად). მხარეთა შეთანხმებით ასეთი ჩანაწერები მიიჩნევა ბანკის საკუთრებად და ბანკი უფლებამოსილია, არ გადასცეს ის კლიენტს, სსამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.
- 16.3.3 კლიენტი მის მიერ მობილური ბანკით განხორციელებული კომუნალური გადახდებისას ვალდებულია დაიცვას აბონენტის ნომრის ჩანწერის ფორმატი, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია გააუქმოს ტრანზაქცია და დააბრუნოს გადახდილი თანხა კლიენტის ანგარიშზე.